



თანადგომის მორიგი მაგალითი

332.

ღვინილავის ბინები

332.

333. „ვაშინებთონ პოსტი,, საქართველოზე ქველმოქმედების დრო მოხალისეები ...

333.



სოლიდარობის აქცია

332.



„ღემი ხაყიას
საშობლო..“

335.



უხვე 100-ზე მეტი ვაქცინასა შექმნილი, მაგრამ...

334.



332. სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება ქასპის მუნიციპალიტეტში

338. „ვინც წინსვლის რაიონზე იყვანს, მას მომავალი ზურგს აქცევს“

დროული დიაგნოსტიკა სმორი მკურნალობის საინდიკატორი

337.



ონლინ აქტივობები საბავშვო ბაბა-ბაღებში

339.



სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია

333.



სადგურ მებენის დასახლებაში ახალი საბავშვო ბაღი შენდება

333.



მუნიციპალიტეტში მხსოვრებ 7 ვებარანს 1 000 ლარი ჩაარიხსა

332.

გამოიწერეთ ..ახალი გათიადი..!

89-ე წელის ზედი ზედი იბრის, ავროკებს, ინახავს რაიონის დეკორიას, ხაყიას არი ყვითელო პრეესს, ქმის ზედი ცხოვრობის შეყოფამს-ზებელო მადიანებს ...
გახართ ზედი მკითხველი!

უხვე 100-ზე მეტი ვაქცინაა შექმნილი, მაგრამ...

- ახალმა კორონავირუსმა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დარტყმა მიაყენა ამერიკის შეერთებულ შტატებს. როგორია ამჟამინდელი მონაცემები?

- ასეა, სამწუხაროდ. კოვიდ-19-მა ყველაზე დიდი დარტყმა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს მიაყენა, სადაც ტურიზმი გაცილებით მეტადაა განვითარებული და ამასთან, პროცენტულად ყველაზე მეტი ხანდაზმული ადამიანი ცხოვრობს. კიდევ ბევრ ფაქტორს ასახელებენ ანალიტიკოსები, როგორცაა კარანტინის ზომების დაგვიანება, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესები, კულტურა, მენტალობა... ამ ყველაფერზე საუბარი შორს წავიყვანს. ფაქტია ის, რომ დადასტურებულად ინფიცირებულია მილიონზე მეტი ადამიანი.

- რამდენად მართალია, რომ ვირუსი რელიგიის მიმდევრებისგან გავრცელდა.

- ამაზე ძნელია დაზუსტებით საუბარი. შევიტყვეთ, რომ ინფიცირების პირველი შემთხვევები თურმე არა ვაშინგტონის შტატში, არამედ 3 კვირით ადრე, კალიფორნიაში დაფიქსირდა.

კოვიდ-19-ით პირველი გარდაცვალების ფაქტიც, დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის ინფორმაციით, იყო კალიფორნიაში 7 თებერვალს და არა ვაშინგტონის შტატში 29 თებერვალს.

ასე რომ, მონაცემები მუდმივად იცვლება და ჯერ ზუსტად არავინ არაფერი იცის.

- მძიმე დარტყმა მიიღო ამერიკის შრომითმა ბაზარმა. კორონავირუსის გავრცელების პარალელურად, ბიზნესებს ფალსუზები ჩამოეფარა. როგორც ვარაუდობენ, აშშ წლის მეორე მეთხევში დაკარგავს 4.58 მილიონ სამუშაო ადგილს და უმუშევრობის დონე 12%-ს მიაღწევს. რა კეთდება ამ დარტყმის შესარბილებლად?

- უმუშევრობის დონე უკვე 12 პროცენტია და სავარაუდოდ, კიდევ გაიზარდება. ჩვენი მონაცემებით, შეერთებულ



ჩვენი თანამემამულეები და კოლეგები ახლაც მოღვაწეობენ უცხოეთში სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტზე. მათთვის საკმაოდ რთულია იცხოვრონ და იმუშაონ სამშობლოდან მოწყვეტილებში, მაგრამ მაინც არ ჯარგავენ სულის სიმბნევეს და დგანან იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდება ისინი საზოგადოებებს.

თუ რა მდგომარეობაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რა ხდება საუბრებში, როგორი ფორმით ეხმარებიან იქ მცხოვრებ ქართველებს და ზოგადად, როგორ უნდა გააშუქონ ახალი კორონავირუსის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებმა, ყოველივე ზემოთქმულზე საუბრობს ამერიკის ხმის ჟურნალისტი და რედაქტორი მანია ქვარცხავა, იგი ამჟამად ვაშინგტონში იმყოფება.

შტატებში ახლა სულ ცოტა, 27 მილიონამდე უმუშევარია. თუმცა, შტატების დონეზე, ბიზნესებისთვის დაწესებული შეზღუდვების მოხსნა უკვე იწყება. განსაკუთრებით, ეს ეხება სამხრეთის შტატებს, როგორცაა მაგალითად, ჯორჯია, ფლორიდა და სამხრეთ კაროლინა.

ჯორჯიაში რესტორნები, სილაამზის სალონები და სპორტული დარბაზები გაიხსნა, თუმცა მხოლოდ იქ, სადაც შესაძლებელია სოციალური დისტანცირება. ეს არ ეხება ნიუ-იორკს, რომელიც ჯერ კიდევ დაავადების ეპიცენტრად ითვლება და არც მის მიმდებარე შტატებს, სადაც ასევე რთული სიტუაციაა. ესენია: ნიუ-ჯერსი და კონექტიკუტი.

სახელმწიფოს მხრიდან ბევრი რამ გაკეთდა. გარდა ინდივიდუალური ერთჯერადი დახმარებისა, რომელიც აპრილის დასაწყისში გაიცა, კონგრესმა რამდენიმე

დღის წინ 484 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარების პაკეტი დაამტკიცა, რომლის დიდი ნაწილი მცირე ბიზნესებისთვისაა განკუთვნილი. თუ ეს ბიზნესები დახმარებას თანამშრომელთა 2 თვის ხელფასებზე მოიხმარენ, ისინი აღარ იქნებიან ვალდებული, რომ თანხა მთავრობას დაუბრუნონ.

- აშშ-ის ცნობილი მედიცინა უძღური აღმოჩნდა პანდემიის წინაშე, რითი ხსნიან ამას ამერიკელი ექიმები.

- ვერ ვიტყვი, რომ უძღური აღმოჩნდა და ახლავე ავიხსნით, რატომ. ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი, რაც სისუსტეს აჩვენებს, კოვიდ-19-ით გამოწვეული სიკვდილიანობა არაა? 26 აპრილის მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ მილიონ ადამიანზე 164 გარდაცვალების ფაქტი ფიქსირდება. ეს მაჩვენებელი ბელგიაშია 612, ესპანეთში - 490, იტალიაში - 436, საფრანგეთში - 346,

ბრიტანეთში - 299, პოლანდიაში - 261, შვედეთში - 217, შვეიცარიაში - 186. აქ მე ამერიკა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს შევადარე, თორემ მთლიანად მსოფლიოში რომ დალაგოთ მონაცემები, ამერიკა სიკვდილიანობის მიხედვით, დღეისთვის მე-16 ადგილზეა.

- საუბარი გახშირდა ამერიკაში ვაქცინის გამოგონების თაობაზე, იმასაც ამბობენ, რომ ჯერჯერობით არ აფიშირებენ, რათა შემდეგ უფრო ძვირად გაყიდონ.

- კოვიდ-19-ის უსაფრთხო ვაქცინა ჯერ ბუნებაში არ არსებობს, არც ამერიკაში და არც სხვა რომელიმე ქვეყანაში. ვაქცინის შექმნას 5-დან 15 წლამდე შეიძლება დასჭირდეს.

დღეს ეს პროცესი შედარებით სწრაფად მიდის, მაგრამ 12-18 თვეზე ადრე ვერაფრით დაჩქარდება. ვაქცინის გამოგონება მხოლოდ პირველი ეტაპია და უკვე 100-ზე მეტი ვაქცინაა შექმნილი, მაგრამ თუ მათი კლინიკური უსაფრთხოება არ დამტკიცდა, ჯერ კანდიდატ ვაქცინებად რჩებიან. ნაწილი გადის პრეკლინიკური

ობა აშშ-ში, ჩვენი საელჩო ასერხებს თუ არა რთულ ვითარებაში აღმოჩენილებს გაუწიოს ფინანსური თუ სამედიცინო დახმარება?

- საქართველოს საელჩო ვაშინგტონში, ასევე საკონსულო ნიუ-იორკში და ემიგრანტების მიერ რამდენიმე თვის წინ დაარსებული კრიზისცენტრი ძალიან ინტენსიურად და ეფექტურად მუშაობენ. მობილიზებულია როგორც ფინანსური, ასევე სამედიცინო მომსახურების რესურსები. უზარმაზარ მუშაობას ეწევა კრიზისცენტრი ასოციაცია თვისტომის მეთაურის, ნიკოლოზ ჩხეიძის ხელმძღვანელობით, რომელიც უამრავ ემიგრანტ მოხალისეს აერთიანებს.

- როგორ უნდა გააშუქდეს პანდემიის თემა მედიაში, თქვენი უწყების პოლიტიკა როგორია ამ მხრივ და რას გვირჩევთ ქართველ ჟურნალისტებს?

- პანდემიის თემა ძალიან ფრთხილად უნდა გააშუქდეს და ამაზე რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ, მაინც უამრავ შეცდომას ვუშვებთ ჟურნალისტები. რამდენიმე საკითხს გამ-

ო. მაგალითად, თუ ინფიცირებულების მკურნალობაზე ვსაუბრობთ, კითხვები დაგუსვათ ექიმებს; თუ პანდემიის მართვა გვინტერესებს, მიემართოთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, ეპიდემიოლოგებს; თუ საგანგებო ზომების განხორციელების მიზეზებია ჩვენი თემა, მოვიწვიოთ მთავრობის და ოპოზიციის წარმომადგენლები. მეოთხე: ყურადღება მივაქციოთ ეთიკურ მხარეს.

მაგალითად, ვეცადოთ, უნებართვოდ არ ვაჩვენოთ ავადმყოფების სახეები რეანიმაციაში, არ ვესაუბროთ ბავშვებს მშობლების ნებართვის გარეშე. თუ ძალიან აუცილებელი არ არის და სტატისტიკურ დეტალებს არ მიმოვიხილავთ, ნუ გავუსვამთ ხაზს იმას, რომ კოვიდ-19 ერჩის უფრო ხანდაზმულ ადამიანებს და აშ. მეზუთე: სიტუაცია, მონაცემები ყოველდღიურად და ზოგჯერ, საათობრივად იცვლება.

შესაბამისად, მოვერიდოთ სიტყვებს: ზუსტად, ყველა, ყველგან, ყოველთვის და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ზომიერი ლექსიკა, სიტყვე-



გამოცდის ფაზას (ცხოველებზე ცდიან), ზოგი ფრთხობის გამოცდის ფაზაშია (ადამიანებზე ცდიან), რომელიც თავად რამდენიმე ფაზისგან შედგება. სწორედ ამიტომ არ ხდება წინასწარ მათი აფიშირება და ვინც იჩემებს, რომ უკვე შექმნა უსაფრთხო ვაქცინა, მათ სერიოზულად არავინ აღიქვამს. დანამდვილებით უნდა ვიცოდეთ, რომ ვაქცინა უსაფრთხოა და ადამიანს არ ვნებს, სანამ მას რომელიმე განვითარებული ქვეყანა დაამტკიცებს და ფართო მასებს აცრის.

- როგორია ქართველების მდგომარე-

ობა, რომლებსაც უფრო სამეცნიერო პუბლიკაციებში ვხვდებით. ესენია: შედარებით, საშუალოდ, დახლოებით, თითქმის, სავარაუდოდ, ასოცირდება, შესაძლებელია... და ბოლოს, ტექნიკური რჩევა: კოვიდ-19 არ არის ვირუსის სახელი, ეს არის დაავადება. თუ დაავადების სახელად ვხმარობთ კორონავირუსს, დაკუთრდით მას წინ ახალი, რადგან ისტორიისთვის სხვა კორონავირუსებიც არის ცნობილი. რაც შეეხება ვირუსს, მისი სახელია: სარს-კოვ-2.

- ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ, მანია!


ირმა ცეცხლაძე.

„ჩემი ხალხის სამშობლო“



დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებულმა თაობამ არ იცის, ვინ იყო ბრეჟნევი, რას ნიშნავს ცენზურა, რა ისტორიული აუცილებლობის გამო მოკლეს ილია, მერაბ კოსტავა... რას ნიშნავს პოლიტიკური პატიმარი ეროვნული მოძრაობის ღრმა იატაკქვეშეთიდან, ერთი სიტყვით, ბევრი ისეთი რამე არ გაუგიათ წინა ისტორიულ ფორმაციაში სიცოცხლის და ბედნიერების ფასად რომ დაუფრთხილეთ ქართველ მამულიშვილებს. ყველა დროსა და სინამდვილეში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სურვილი აერთიანებდა, აძლიერებდა საქართველოს მომავალს. მომავალს, როგორც დროის ერთეულს და მომავალს შვილების ძალასა და სიყვარულში განფენილს.

ხანდახან პირადადაც არ მჯერა, რომ სამი ათეული წლის წინ ვფიქრობდი რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ მოვესწრებოდი... იქნებ ამიტომ მზად ვარ ურთულეს სინამდვილეს გავუძლო, ქარს არ გავატანო სახელი, ღირსება... მე ვიცი ყველაზე მთავარია შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა, არ გავტყდეთ... თუ ეს მხოლოდ ღირსიკად გვეჩვენება წარმოვიდგინოთ ნებისმიერი სახელმწიფო დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე და მივხვდებით რა ისტორიული გზის დასაწყისში ვართ. ხანდახან ვფიქრობ იქნებ ევროპული დემოკრატია ან საერთაშორისო თანამეგობრობა შეგვეხილოს... ეს დასამშვიდებლად, თორემ კარგად მოგვეხსენება ჩვენს მეტი ვერაფერს გაიყვანს სამშობლოს სამშვიდობოზე.



ქვეყნის ისტორიულ მენსიურებაში ოცდაათ წელზე მეტია დაფიქსირდა, რომ 9 აპრილის ბარიკადებზე შეკრებილ ახალგაზრდობას ძალიან უნდოდა


დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ გულის სიდრემში შეუძლებლად მიანდა დიდი იმპერიის მარწუხებიდან თავის დასხნა. იმ დარბევამ უხილავი ხიდი გაღო 1918 წლის 26 მაისთან. აკი, მერაბ კოსტავამ დარბევის წინ თქვა: - როდის შევშინებთ სამშობლოს თავისუფლებისთვის სისხლის ღვრას, იქნებ დღეს ჩვენი რიგია...

მაშინ, საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში რომ იყო იატაკქვეშეთში გკითხულობდით, რომ - "1918 წლის 24 მაისს, ფრეილინის ქუჩაზე, ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.


კრებაზე განიხილეს აკაკი ჩხენკელის მიერ 1918 წლის 23 მაისს გამოგზავნილი წერილი. სხდომა 24 მაისს, ღამის 11 საათზე გაიხსნა. აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსით, უნდა დაჩქარებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

25 მაისს საღამოს 10 საათზე უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკას დაშლილად გამოაცხადებდა. მოგვიანებით, სეიმის სომეხი და აზერბაიჯანელი დეპუტატების თხოვნით სხდომა გადაიდო. 26 მაისის დღის 12 საათისთვის ნოე ჟორდანიამ დააყენა წინადადება: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ მას შემდეგ, რაც სეიმი დაშლილად გამოაცხადებდა ამ-


გამოცხადებას - ოთხმა წევრმა. 25 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი სრულყოფილი არ იყო და გადაამუშავებას საჭიროებდა. აქტის ტექსტის გადაამუშავება და მისი საბოლოო ვარიანტის მომზადება ნოე ჟორდანიას დაევა. საბოლოოდ აქტი იურისტმა გვაზავამ შეადგინა და წინასწარ გააცნო ჟორდანიას. მასში გარდა ნაციონალური დებულებებისა, იყო შეტანილი სოციალური საკითხებიც: რვასათიანი სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვა. ჟორდანიამ ამოიღო სოციალური დებულებები, როგორც შესაძლო გამოთქველი ელემენტები და დატოვა მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური საკითხები.



1918 წლის 26 მაისს გოლოვინის პროსპექტზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ნაშუადღევს 3 საათზე ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, ნაშუადღევს 4 საათსა და 50 წუთზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით




საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა. მას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. ნოე ჟორდანიას სიტყვით გამოვიდა და მისი დასრულების შემდეგ წაიკითხა "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი". ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად დაამტკიცა. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს სამინისტროებ-



ის რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი. დამოუკიდებლობის აქტი დადასტურა და ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის 12 მარტს. დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამი იყო:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია, ხოლო საქართველო -



სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

ფოტოზე: საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიღებული 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ. დოკუმენტი ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს და დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.

ვაზეთი "ახალი განთიადი" მადლობას უხდის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მეორე განყოფილების უფროსს ივანე ჯავახიშვილის დახმარებით მიღწეული მასალების მომზადებაში აღმოჩენილი დახმარებისათვის.



კასპის რაიონის სამედიცინო სივრცეში უდაოდ გამოჩნულ ადგილს იკავებს შპს "მარიმედი", რომელიც თავისი იმიჯით, სამკურნალო და დიაგნოსტიკური სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით კონკურენციას უწევს სამედიცინო დარგის არაერთ სექტორს... აი, სწორედ ამ თემებზე უფრო დაწვრილებით და ამომწურავად საუბრობს სამედიცინო ცენტრის დირექტორი მამუკა ბერიძე.

სამედიცინო ცენტრი შპს "მარიმედი" კასპში ფუნქციონირებს 2012 წლის დასაწყისიდან. მისი ჩამოყალიბების აუცილებლობა განაპირობა სამედიცინო სფეროში მომხდარმა რეორგანიზაციამ, მაშინ როდესაც კასპის რაიონული საავადმყოფო გაუქმდა და მოსახლეობაზე სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი გახდა შპს "მედალფა". მოგეხსენებათ, რომ ტრადიციულად კასპის რაიონის სამედიცინო სექტორში მოღვაწეობდნენ კვალიფიციური ექიმები და მედიცინის მუშაკები, რომლებმაც ეპოქა შექმნეს რაიონის სამედიცინო ცხოვრებაში. ამ რეორგანიზაციის შედეგად შპს "მედალფა" ყველა თანამშრომელს, ვინც საავადმყოფოში მუშაობდა, ვერ დაასაქმებდა, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ეს ხალხი უმუშევარი რომ არ დარჩენილიყო, შეგვექმნა ალტერნატიული სამსახური... შეიქმნა ინფრასტრუქტურა, ჩამოყალიბდა პროფესიონალითა გუნდი, რომელთაც ჰქონდათ დიდი სამედიცინო პრაქტიკა და გამოცდილება. ისიც უნდა ითქვას, რომ ალტერნატიული სამსახურის შექმნა არ ნიშნავდა, ალბათ მედალფასთვის რაიმე კონკურენციას, რადგანაც მის ხელმძღვანელობასთან თავიდანვე ჩამოყალი-

ბდა ჯანსაღი, კოლეგიალური დამოკიდებულება და დღემდე ამ განწყობით ვაგრძელებთ კასპის /არა მარტო კასპის/ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას.

ამჟამად "მარიმედი" ფუნქციონირებს ზოგადი სამედიცინო პოლიპროფილური და სტომატოლოგიური დეპარტამენტები. სტომატოლოგიური დეპარტამენტი მოიცავს შემდეგ სექტორებს: თერაპია, ქირურგია, ორთოპედია, ორთოდონტია, ესთეტიკური სტომატოლოგია, ყბა-სახის ქირურგია. მუშაობს რენტგენოლოგიური კაბინეტი, რომელსაც ახლავს კაბინეტი პირგარეთა რენტგენოგრაფია უახლესი მოდელის პანორამული რენტგენოგრაფიის აპარატით.. მუშაობს საპროთეზო ლაბორატორია, ადგილზე კეთდება ყველაანაირი ორთოპედიული პროცედურა. დეპარტამენტი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით და აღჭურვილია აპარატურით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს... ზოგადი სამედიცინო პოლიპროფილურ დეპარტამენტში ფუნქციონირებს შემდეგი სექტორები: ოჯახის ექიმი /თერაპევტი-ნეფროლოგი/, უროლოგი, კარდიოლოგი, ოფთალმოლოგი, რევმატოლოგი, ალერგოლოგი, გინეკოლოგი, ზოგადი ქირურგია, ტრავმატოლოგი-ორთოპედი, ანგიოქირურგია, ნევროპათოლოგი, ენდოკრინოლოგი. ფუნქციონირებს აგრეთვე, სამედიცინო რეაბილიტაციის კაბინეტი /ფიზიოთერაპია, სამკურნალო მასაჟი/. ფუნქციონირებს დღის 24 საათიანი სტაციონარი, გვაქვს კლინიკური ლაბორატორია, სადაც კეთდება სისხლის სეროლოგიური, ბაქტერიოლოგიური და იმუნოფერმენტული ანალიზები, აქ ხდება შარდის და ნაცხის ბაქტერიოლოგიური კვლევა. ლაბორატორია დაკო-

მპლექტებულია თანამედროვე, უახლესი ევროპული წარმოების აპარატურით, რეაქტივებით და ყველა კვლევა ხდება ჩვენს კლინიკაში, აქვე ტარდება კვლევები ზოლინფექციებზე, ვირუსებზე, დღევანდელი გამოწვევებიდან გამომდინარე სულ ახლახან ჩვენთანაც დაიწყო გამოკვლევები ისწრაფი ტესტით კონა ვირუსზე. ტესტებს გვაწვდის ერთ-ერთი წარმატებული ევროპული ფირმა, შესაძლებელია ლაბორატორიული მომსახურების ბინაზე გამოძახების სერვის-



წარმატებით მუშაობს ოფთალმოლოგიური სექტორი, სადაც ხდება თვალის სრული კვლევა: ვიზომეტრია /მხედველობის განსაზღვრა/, აუტოკერატომეტრია /რეფრექციის განსაზღვრა/, ტონომეტრია /თვალის წნევის განსაზღვრა/, ოფთალმოსკოპია /თვალის ფსკერის დათვალიერება/, ბიომიკროსკოპია, ყველა სირთულის /ახლომხედველობა, შორსმხედველობა, პროგრესული, ასტიგმატური, /სათვალის ნომრის დადგენა. სხვათა შორის, ამ სფეროში ჩვენი კლინიკა აქტიურად თანამშრომლობს გია ჯაფარიშვილის კლინიკა ოფთალმიჯთან, მოსახლეობამ უკვე იცის, რომ ყოველი თვის ბოლო კვირას კასპში ჩამოდის ჯაფარიშვილის ქირურგთა ჯგუფი და ჩვენს კლინიკაში კეთდება ოპერაციები თვალზე /კატარაქტა/.

კარდიოლოგიურ სექტორ-

ში თქვენ შეგიძლიათ ჩაიტაროთ სრული სადიაგნოსტიკო კვლევა: ელექტროკარდიოგრაფია, კარდიოექსკოპია, 24 საათიანი წნევის მონიტორინგი, გულის მუშაობის 24 საათიანი მონიტორინგი ჰოლტერის აპარატით. მთელი დატვირთვით მუშაობს ექსკოპიის კაბინეტიც, რომელიც აღჭურვილია ევროპული წარმოების აპარატურით და იძლევა 4-დ გამოსახულებას.

ჩვენს კლინიკაში ფუნქციონირებს ფიზიოთერაპიისა და რეაბილიტაციის კაბ-

ინეტი, მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს ნიუ ვიენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან, კლინიკა კონსილიუმ მედულასთან. მუშაობს პერინატალური და ანტენატალური პროგრამა და ყველა ის პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს მოსახლეობას, გაიცემა ჯანმრთელობის ცნობა /ფორმა 100/. ინფრასტრუქტურის შექმნა შესაძლებელია, შესაძლებელია კვლევის ნებისმიერი საშუალების შექმნა... ვფიქრობთ, ყველაზე მთავარია ადამიანური რესურსი, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის განცდა. ამ მხრივ ჩვენს კლინიკას სანდო, პროფესიონალი ექიმები და მედიკოსები ჰყავს, ამავე დროს, ისინი კარგი ადამიანებიც არიან. ჩვენთან მუშაობდნენ ცნობილი და წამყვანი სპეციალისტები, რომლებთანაც დღესაც აქტიურად ვთანამშრომლობთ, მათ შორის გახლავთ პროფესორი პავლე მაჭავარიანი /კარდიოლო-

დროული დიაგნოსტიკა სწორი მკურნალობის საწინდარი



ვილი... ცნობილია, რომ სწორი დიაგნოსტიკა გვაძლევს სწორი მკურნალობის საშუალებას. ჩვენ უნდა დავადგინოთ და ვებრძოლოთ დაავადების მიზეზს და არა შედეგს, თუ ვერ დავენხმარებით პაციენტს, ზიანი მანც არ უნდა მივაყენოთ.

გულწრფელად მინდა ვურჩიო პაციენტებს: ზედმიწევნით უნდა შეასრუ-

და მისი მიმდინარეობის შესახებ, პაციენტთა ექიმთან შეთანხმების გარეშე არ უნდა შეცვალოს დანიშნულება /მედიკამენტი, მისი დოზირება და დიაგნოსტიკისათვის საჭირო კვლევები/... პაციენტი ვალდებულია მკურნალობის პროცესში ექიმს მიაწოდოს ინფორმაცია დაავადების მიმდინარეობის შესახებ. ავადმყოფს უფლება აქვს



ლოთ ექიმის რჩევები, რადგან მან უკეთ იცის თქვენი დაავადებისა ნებისმიერ დროს მიიღოს დაავადებასთან დაკავშირებული კონსულტაცია.

გაქვთ სურვილი, რომ იყოთ კმაყოფილი /სრულად კანიკურნოთ/, ნუ დაიწყებთ თვითმკურნალობას. იცოდეთ, უნდა ვებრძოლოთ არა მარტო დაავადებას, არამედ მის გამომწვევ მიზეზსაც. პაციენტი ვალდებულია ჩაიტაროს მხოლოდ ექიმის მიერ განსაზღვრული კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევები. ჩაიწერა რუსულად ხეჩუაშვილმა.



“ვინც წარსულის რაიონი ყოფს, მას მომავალი ზურგს აჩევს” “გურამიშვილობის” ისტორიისათვის



ქართულ პოეზიაში შოთა რუსთაველის შემდეგ დავით გურამიშვილი (1705-1792) მოიხსენიება; დიდაქტიკოსი, თეოლოგი, “ქართლის ჭირის” მემბტიანე, მეომარი, მხენელ-მთესველი, — ასე ვიცნობთ “დავითიანის” ავტორს, მე-18 საუკუნის უდიდეს პოეტს დავით გურამიშვილს, რომლის ბიოგრაფიასა და, ამდენად, ქართულ პოეზიაში ლამისყანა საბუდამოდ დამკვედრდა.

საგურამოელი თავადი, გორისუბანში გაზრდილი და დავაჟკაცებული დავით გურამიშვილი “ქართლის ჭირმა” იძულებული გახდა საკუთარი ციხე-სასახლე მიეტოვებინა და მოყვრის მამულში განიზნულიყო; პოეტს მოვუსმინოთ:

“მო, ყური მიგდე, მოვითხრობ ტყვედ ჩემსა წამოყვანასა,

ქვეყნის წახდენის მიზეზით ვცხოვრობდი სხვის ქვეყანასა, სადაც უხმობენ სახელად, ქსნის ხევზე, ლამის-ყანასა, მუნ მოყვრის მუმას თავს ვადექ, მკას უპირებდით ყანასა”.
გარაყანიძეები, რომელთა სიძეც გახლდათ დავით გურამიშვილი, ლამისყანის მკვიდრი აზნაურები იყვნენ.

1730 წლის “კათათვის დამდეგს” დატრიალდა ის ტრაგედია, დავით გურამიშვილს სამშობლო რომ დააკარგვინა. ქსნისპირა ჭაღებში ვეება მუხის ძირში გამოძავალი წყაროს წყალზე პირის დასაბანად მისული დავით გურამიშვილი თხუთმეტმა ლექმა დაატყვევა დაოსოქოლოს (დაღესტანი) გზას გაუყენა.

იმ წყაროს, საიდანაც პოეტი გაიტაცეს, ლამისყ-

ანელებმა გურამიშვილის წყარო უწოდეს. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ქეთევან გარაყანიძისა და დავით გურამიშვილის უიღბლო სიყვარულის ამბავი. წყაროსთან, მუხის ჩრდილს შეფარებული, შრომით დაღლილი ხანდაზმული ლამისყანელები ახალგაზრდებს ძველ ამბებს უყვებოდნენ; მერე, მერე კი გამოუსწორებელი შეცდომა იქნა დაშვებული: მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დავით გურამიშვილის წყაროს მახლობლად წყალსადენის მშენებლობა დაიწყო. ლამისყანიდან სასმელი წყალი მეზობელ სოფლებში გაიყვანეს. წყალსადენს გურამიშვილის წყაროც გააყოლეს. მუხა მოჭრეს, ადგილი საგულდაგულოდ მოასწორეს.

ბატონმა გიორგი ხორგუაშვილმა (1929-2011) მწ-

ერალთა კავშირი ფეხზე დააყენა; გურამიშვილის წყაროს ამბავი რომ გაიგო, მწერალმა ლევან გოთუამ (1905-1973) ბრძანა: “ეს ახალი ლეკიანობისაგან დიდი მგოსნის ხელახალ მოტაცებას უდრისო”.

აღმოფიქრებული ინტელიგენცია საგაზეთო სტატიებით კითხულობდა, “ვინ დააშრო გურამიშვილის წყარო?” — კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. ვედარ მოხერხდა გურამიშვილის წყაროს აღდგენა, თუმცა მწერალთა კავშირი დანებებას არ აპირებდა. პირადად ბატონი გიორგი ხორგუაშვილის დაუღალავი მცდელობით, დავით გურამიშვილის გატაცების ადგილის მახლობლად მოეწყო პოეტის სახელობის წყარო-მემორიალი (ავტორი არქიტექტორი ვაჟა ორბელაძე). წყარო-მემორიალი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1975 წლის 27 აპრილს. იმავე დღეს საფუძველი ჩაეყარა სახალხო დღესასწაულს “გურამიშვილობა”.

17 წელი აღინიშნებოდა ლამისყანაში “გურამიშვილობა”. ადგილობრივებთან ერთად, უამრავი ქართველი თუ უცხოელი სტუმარი მიაგებდა პატივს დავით გურამიშვილის ხსოვნას.

“გურამიშვილობა” იყო ქართული კულტურის დღესასწაული, პოეზიის ზეიმი. ფოტოებმა და საგაზეთო სტატიებმა შემოგვინახა “გურამიშვილობის” დაუვიწყარი დღეები; ბოლოს, 1992 წელს აღინიშნა პოეტის გარდაცვალების 200 წლისთავი.

მას შემდეგ “გურამიშვილობა” დავიწყებას მიეცა.


სახალხო დღესასწაულმა “გურამიშვილობამ” ჩაუყარა საფუძველი ქსნის ერისთავების ყოფილ, დღეს ჯამბაკურ-ორბელიანთა სახელით ცნობილი ციხე-სასახლის აღდგენას (1980-1985).

რაც შეეხება სასახლეს, რომელშიც დავით გურამიშვილი სამშობლოში ყოფნის ბოლო წლებში ცხოვრობდა, გარაყანიძეებმა გაყიდეს, მასში ქსნის ერისთავთა დიდი ოჯახის ერთ-ერთი განაყოფი დამკვიდრდა (ეს ამბავი ლამისყანის ისტორიის კიდევ ერთი საინტერესო ფურცელია). აზნაურ გარაყანიძეთა ყოფილ სასახლეს სოფელიც და ძეგლთა დაცვაც დღეს ერისთავთა სასახლის სახელით იცნობს; თუმცა სადღა სასახლე, საუბრის მდგომარეობაშია, ინგრევა, კარგავს პირვანდელ სახეს, ეკალ-ბარდებმა დაფარა ერთდროს ცნობილი მარანი.

2020 დავით გურამიშვილის საიუბილეო წელია. 315 წლის წინ დაიბადა ქართლის ჭირ-ვარამის მოზიარე, როგორც თვითონ გვეუბნება, ლამისყანიდან “დაკარგული ცოდვით”, “ზედაძენს” ან “შიოღვიმეს” ნაცვლად უკრაინის მიწას მიბარებული ქართველი პოეტი, რომელმაც ანდერძად დაგვიტოვა:

მომიხსენონ, სხვას არავის რასა ვთხოვ მეტსა”.

სოფიო ცუცუნაშვილი-ფაველნიშვილი, ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე მუზეუმის დირექტორი.



გენიოსი
დასასრული. დასაწყისი გვ-ნ.

გამოიღო: დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა წევრი დააპატიმრეს, ზოლო ჩალონერი ჩამოახრჩვეს. ფინანსურ დარგში ნიუტონის წარმატებები მევახშეებისა და

ყალბი ფულის მჭრელების შემოფოთებას იწვევდა. ისინი თავიანთი მტრის კომპრომეტირებას ცდილობდნენ. ვინმე შალონემ ნიუტონი დააბეზდა და

ყალბი მონეტების ჭრამი დაადანაშაულა. მის ზოგიერთ თანამედროვეს მიაჩნდა, რომ ნიუტონი, მეცნიერი და ალქიმიკოსი, მონეტების გამოშვებისას მართლაც


სცოდავდა, თუმცა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ყალბ ფულს სწორედ დამბეზდებელი უშვებდა. ისიც კანონის სრული სიმკაცრით დაისაჯა. მართლაც რომ უნი-

ვერსალური და მრავალმხრივია გენიალურ ადამიანთა შესაძლებლობები. ნიუტონის ისტორია სწორედ ამის დასტურია. ის ნიჭიერი ეკონომისტი აღმოჩნ-

და, რაც მათემატიკურ ტალანტს უნდა მივაწეროთ. მაგრამ რით ავსხნათ გამოძიების იშვიათი უნარების? ალბათ, უბრალოდ, ნიუტონის გენიალობით.



მეგიდლიათ, მდგვარდით თქვენი შვილების, შვილიშვილების მბიგინალური ფიდელი.



გამოიწერეთ გზთი ,,ახალი გზთიჯი,,! გზთით სვენი მყითხველი!



თუ მოგლებს არ სხალიათ... თა მესახე მშონღენს არ სწლიათ! რომ გიმზონ. თქვენ ახლა უფრო მეტი ირთ ვიდრე მარშან და

სსოვე

ლეა ნიქარაქე

“სიკვდილი ნიბლავთ ადამიანებს, როგორც უკანასკნელი თავგადასავალი,” მართლაც, მოულოდნელი და უჩვეულო თავგადასავლით გაფრინდა ლეა...

ლეა ნიქარაქე 1970 წლის 13 ივნისს დაიბადა. სწავლობდა კასპის პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1986-87 სასწავლო წელს.

იყო ნიჭიერი, ბეჯითი, ენერგიული, ხალისიანი, თავზიანი და გულიანობიერი. ლეა ყველა საგანს ერთნაირი მონღობით სწავლობდა. როდესაც დადგა პროფესიის არჩევის დრო, დიდი არჩევანის დე ყველას ახსოვს

გამოგვეხეყართ!

ფეისბუქ ციტატა*** ეძახით, ხშირად სევიდიანია, უჭირს სხვა ბავშვებთან, ადამიანებთან კონტაქტში შესვლა, აგრესიულია ეკრანების 90 პროცენტით აკრძალვის შემთხვევაში, რამდენიმე კვირაში იგრძობა ბავშვის ხასიათის, მანერების ცვლილებას! თუ ეკრანის გადაჭარბებული მოხმარება ბავშვის მიერ რამდენიმე წელს გრძელდება, ძალიან დიდია საფრთხე, დროთა განმავლობაში, ბავშვის ტვინის დასუსტების, ათვისების უნარის დაქვეითების და სხვა მძაფრი პრობლემების წარმოქმნის!!! ამას ადასტურებენ ექიმები! ფსიქოლოგები!

ეს იწერება, შუქდება ფრანგული მედიის საშუალებით! თუ არ ვართ მზად და გვეზარება ჩვენს შვილებთან თამაში, მათი პარკში გასეირნება (დედებო და მამებო!), მათთან ერთად ზღაპრების კითხვა, ხატვა, საქანელებზე გართობა და ა.შ. იქნებ დაველოდოთ დროს, მომენტს, როცა ამისთვის მზად ვიქნებით! ნუ გავაჩენთ/ გავწირავთ ბავშვებს ტელეფონების ხელში შესაჩენებლად! - ამგვარ მოწოდებებს ნახავთ უნივერსიტეტებშიც და თავშეყრის სხვა ადგილებში! საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტრო გვაფრთხილებს: იკრძალება ბავშვის სიახლოვე ნებისმიერი სახის ეკრანთან - 3 წლამდე!!! იკრძალება ნებისმიერი ეკრანის მიღმა თამაში - 6 წლამდე!!! იკრძალება სოციალური ქსელების გამოყენება 12 წლის ასაკამდე!! -

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია სელმქვეანდობს თაინსუფალი პრესის პრინციპებით. სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოგანილი ფაქტები სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. სარედაქციო მასალები და განხილვების შედეგები რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოყენება იკრძალება.

რედაქცია ნანა მარაგაშვილი რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საბაქალის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76